<u>დანართი</u>

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ასაკობრივ საპენსიო ასაკს მიღწეული ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალისთვის (გარდა დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების პერსონალისა) ფულადი ჯილდოს (კომპენსაციის) გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. პროგრამის დასახელება	საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ასაკობრივ *საპენსიო ასაკს მიღწეული ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალისთვის (გარდა დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტების პერსონალისა) ფულადი ჯილდოს (კომპენსაციის) გაცემის წესი*
1.2. პროგრამის განხორციელების ვადები	**2024 წელი**
1.3. პროგრამის კოდი	01 01
1.4. პროგრამის ჯამური ბიუჯეტი	400 000 ლარი

მუხლი 2. პროგრამის აღწერა და მიზანი

PWC (ფრაისვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბივის ფილიალი საქართველოში)-ის მიერ ჩატარებული თსუ-ს ორგანიზაციული ეფექტიანობის ანალიზის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის და სხვა რეკომენდაციების გათვალისწინებით უნივერსიტეტის პერსონალი საჭიროებს როგორც გაახალგაზრდავებას, ისე გარკვეულ ოპტიმიზაციას.

პროგრამის მიზანია უნივერსიტეტში დასაქმებული სტაჟიანი/დამსახურებული პერსონალის წახალისება; მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროგრამის განხორციელების შედეგად, უნივერსიტეტის მისიის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტში ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრები შემოვიდნენ.

ამასთან ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მიზნით და თსუ შინაგანაწესის გათვალისწინებით შესაძლოა განხორციელდეს დამხმარე პერსონალის ატესტაცია.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების სტრატეგია და მიზნობრივი ჯგუფი

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ასაკობრივ საპენსიო ასაკს მიღწეული უნივერსიტეტის ის ადმინისტრაციული (გარდა იმ ადმინისტრაციული პერსონალისა, რომლის სამსახურში მისაღებად კონკურსის/არჩევნების პროცედურა კანონმდებლობითაა გათვალისწინებული) და დამხმარე პერსონალი (შემდგომში - ,,პერსონალი" (გარდა დამოუკიდებელი *სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტების პერსონალისა)),* რომლებმაც ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე უნივერსიტეტიდან წასვლა გადაწყვიტეს, უნივერსიტეტისგან ჯილდოს სახით ფულად კომპენსაციის და მადლობის სიგელს მიიღებენ.

კომპენსაციის მიღების მოთხოვნით განაცხადის დაწერის უფლება აქვს უნივერსიტეტის იმ პერსონალს, რომელსაც 2024 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ ან/და დამხმარე თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი (60 თვე) სტაჟი დაუგროვდება.

ის პერსონალი, რომელსაც 2024 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ ან/და დამხმარე თანამდებობაზე მუშაობის 5 წლიდან (60 თვე) 10 წლამდე (120 თვე) სტაჟი დაუგროვდება, უნივერსიტეტისგან ჯილდოს სახით ფულად კომპენსაციას - 5 თვის ჯამურ ხელფასს მიიღებს.

ის პერსონალი, რომელსაც 2024 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ ან/და დამხმარე თანამდებობაზე მუშაობის 10 წელზე (120 თვე) მეტი სტაჟი დაუგროვდება, უნივერსიტეტისგან ჯილდოს სახით ფულად კომპენსაციას - 7 თვის ჯამურ ხელფასს მიიღებს.

ის პერსონალი, რომელსაც 2024 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ ან/და დამხმარე თანამდებობაზე მუშაობის 20 წელზე (240 თვე) მეტი სტაჟი დაუგროვდება, უნივერსიტეტისგან ჯილდოს სახით ფულად კომპენსაციას - 8 თვის ჯამურ ხელფასს მიიღებს.

- პერსონალმა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა და ჯილდოს სახით ფულადი კომპენსაციისმიღების თაობაზე განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
- ჯილდოს სახით ფულადი კომპენსაციის მიღების მოთხოვნით პირის განცხადება განხილვას ექვემდებარება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში;
- შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ თანხმობის გაცემის მაქსიმალური ვადა შეადგენს განცხადების წარმოდგენიდან 2 (ორი) კვირას.

- კომპენსაციის ოდენობა შეადგენს ბოლო 3 თვის განმავლობაში პერსონალის მიერ ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს საშუალო არითმეტიკულის ნამრავლს თვეების შესაბამის ოდენობაზე (სტაჟის გათვალისწინებით).
- თუ პერსონალი ჯილდოს სახით ფულადი კომპენსაციის მიღების შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 8 თვის განმავლობაში კვლავ გადაწყვეტს უნივერსიტეტში ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმებას, ვალდებულია დააკმაყოფილოს შესაბამისი მოთხოვნები და დააბრუნოს ფულადი ჯილდო სრული ოდენობით.
- ფულადი ჯილდოს გაცემა 2024 წლის განმავლობაში განხორციელდება.

მუხლი 4. მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

უნივერსიტეტი ერთის მხრივ, მადლიერებას გამოხატავს იმ პერსონალის მიმართ, ვინც მრავალწლიანი საქმიანობით მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის განვითარებასა და მისი ახალი ისტორიის შექმნაში, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შუწყობს დაწესებულებაში ახალი კადრების შემოდინების და რიგი მიმართულებით კადრების ოპტიმიზაციის პროცესს.

მუხლი 5. პროგრამის ვადები და შესაბამისი აქტივობები:

განცხადების მიღების ვადები - 2024 წლის 1**2 აგვისტოდან** 2024 წლის **20 სექტემბრის ჩათვლით;**

კომპენსაციების (ფულადი ჯილდოს) გაცემის ვადები - განცხადებით მიმართვიდან არანაკლებ **5** სამუშაო დღე;

მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი, საბიუჯეტო მუხლის მითითებით:

დასახელება	**სულ**	**2024 წელი**
კომპენსაცია	**400 000 ლარი**	**400 000 ლარი**
სოციალური უზრუნველყოფა	400 000 ლარი	400 000 ლარი